საქართ. მემარცხენე სოციალფედერალისტთა ხარევოლიუციო პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—3 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ას მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

№ [illegible]

სამშაბათი, დეკემბრის 12 1922 წ.

ქალ. ტფილისის ალმასრულებელი კომიტეტის სამართველოს განყოფილება ამით აცხადებს,

რომ ტფილისის ქალაქის მ. ღ. მილიციის თანამშრომელთათვის

საჭიროა ფრიად სასწრაფოდ დამზადდეს:

700 ცალი ნაბდის ქურქები, აგრეთვე 700 წყვილი ბოტინკები.

ვისაც შეუძლია 700 ცალი ქურქისათვის საჭირო რაოდენობის კარგი ხარისხის ნაბდისა და 700 წყვილი ფეხსაცმლის მიწოდება, ვსთხოვ განცხადდეს სამმართველოს განყოფილებაში, ლ. ქუმბაძის ქ., ყოფ. ველიამინოვის, № 7, და თან წარმოადგინოს შესაფერი ნიმუშები ნაბდისა და ბოტინკებისა.

3—3 208 ტფ. ალმასკომის სამმართველოს განყოფილება.

## ლოზანას „მეთვალყურე“

საერთაშორისო კონფერენციების კულისები და იქ შექმნილი კომბინაციები გადამწყვეტი გავლენის მქონეა კონფერენციათა ოფიციალი სხდომების. კულისებში ხდება პოლიტიკური ბირჟის ცხოველი ფუსფუსი, აქ სწყდება უმთავრესი საკითხები.

ამას წინათ, როდესაც ლოზანის კონფერენცია ჯერ კიდევ მოწვეული არ იყო და დარდანელის ირგვლივირაზმებოდა სამხედრო ძალები, როდესაც ჯერ კიდევ ამერიკიდან ატლანტის ოკეანეში ახლო-აღმოსავლეთიდან არ გამოცურა კრეისერებს ჩვენ ვწერდით, რომ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა არ შეიძლება გადაწყვეტოს მხოლოდ ევროპის კაპიტალის წარმომადგენელთა ყრილობამ, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესიც მჭიდროდ დაკავშირებულია ახლო აღმოსავლეთის საკითხთან.

დღეს უკვე ფაქტია, რომ ამერიკამ არა ოფიციალური „მეთვალყურე“ გამოგზავნა ლოზანაში, რომელიც გარკვეული სიურპრიზების წინაშე აყენებს ევროპას დიპლომატებს.

მესოპოტამიის ნავთის საკითხის ირგვლივ შექმნილმა ქიდილმა უკვე იმსხვერპლა ორი კაბინეტი და დღესაც ამავე საკითხის ირგვლივ ამერიკის „მეთვალყურე“ ლირდ ფორმის შექმნილ ქიდილს ლოზანის კონფერენციაზედ... ნავთის წყაროების ძებნა და მის ირგვლივ გამართული ქიდილი საერთაშორისო პოლიტიკაში ცნობილი იქნება მკითხველისათვის.

დღეს ნავთის წყაროების 70 პროცენტი ამერიკის ხელშია, მაგრამ იგი კიდევ ნავთის წყაროებისათვის იბრძვის. და კიდეც ილებს იგი მოსულის ნავთის 15 პროცენტს.

საერთოდ ამერიკა რომელმაც მხოლოდ „მეთვალყურე“ გამოგზავნა, ლოზანაში ცდილობს გადამწყვეტი როლის შესრულებას საკითხების გადაწყვეტაში. როგორც გვატყობინებენ რადიო დეპეშები ამერიკის „მეთვალყურე“ თანდათან აქტიურ მონაწილეობას იღებს ლოზანას კონფერენციის მუშაობაში.

ნათელი რომ გახდეს ამერიკის „ნეიტრალური“ პოლიტიკა, ამისათვის ზედმეტი არ იქნება მოვიგონოთ ახლო წარსულის სურათები ამერიკის იმპერიალიზმისა. მსოფლიო ომის პროცესში, როდესაც გერმანიის ჰეგემონიის აჩრდილი აშინებდა ევროპის ქვეყნებს, ამერიკაც არ იყო ამ მოვლენით მოსვენებული, რადგან გერმანიის გამარჯვებით მის წინ აღიმართება ძლიერი კონკურენცია და ხელს შეუშლიდა ამერიკანიზმის გეგმებს.

მკითხველს მოეხსენება, რომ თანამედროვე ამერიკა არ არის კიორგი ვაშინგტონისა და ბენიამენ ფრანკლინის ამერიკა რომელიც თავისუფლების დევიზით გამოდიოდა და დემოკრატიულ ლოზუნგებს აყენებდა. მაშინ ამერიკის პოლიტიკის საფუძველი იყო „ამერიკა ამერიკელებისათვის“, დღეს კი ამავე ამერიკის პოლიტიკის საფუძველია „მთელი მსოფლიო ამერიკისათვის“. ასეთია კაპიტალიზმის განვითარების ლოღიკური შედეგები.

ამ მოვლენი ევროპის განხორციელებას ეწინააღმდეგებოდა გერმანიის გაძლიერებული წარმოება, რომელიც ფიქრობდა ინგლისის განდევნას საერთაშორისო ბაზრებიდან. ცხადია ამერიკას მაზნ და უნდა დაესუსტა გერმანია და ინგლისის ისეთ მდგომარეობაში ჩაყენება, რომ მათ შორის ურთიერთ კონკურენციით გზა გაეხსნა ამერიკის კაპიტალს ევროპისა და აზიისაკენ. ამიტომ იყო, რომ ამერიკას ომში გამოსვლით დაეცა გერმანია, მაგრამ გერმანია დაეცა უფრო მეტად ვიდრე ეს სურდა ამერიკას.

ამერიკიდან გერმანია არა თუ ალარ გამოდგებოდა ინგლისის საწინააღმდეგო ძალად, არამედ გერმანიის ხარჯზედ ინგლისს კიდევ მეტად შეეძლო თავისი ჰეგემონიის განმტკიცება. მაშასადამე ამერიკას უნდა გამოენახა სხვა ძალა ინგლისის წინააღმდეგ. ასეთი ძალა იყო რუსეთი და საფრანგეთი, ამერიკა კიდეც შეუდგა ორივეს გამაგრებას და ინგლისის წინააღმდეგ დაპირისპირებას.

ამიტომ იყო, რომ საფრანგეთმა მთელი რიგი გამარჯვებას მიაღწია ინგლისის მიმართ ამერიკის დახმარებით, ამიტომ იყო, რომ ხდებოდა საფრანგეთის მრეწველობის ამერიკანიზაცია და საფრანგეთისათვის ყოველმხრივი დახმარების მიწოდება ამერიკისაგან. ამიტომ იყო, რომ ამერიკის ვაჭრობის მინისტრი გუვერი კავშირს იქერდა რუსეთთან და პოლიტიკური რუსეთის დამხობით კონსერვებით უგზავნიდნენ ტრესტების სამშობლოს ბურჟუაზია. ამავე ბურჟუაზიის ინიციატივით შეიქნა ერთი ლიგა და ამავე ბურჟუაზიის ერთი ლიგიდან გასვლით არსებითად მოკვდა ეს ორგანიზაცია.

ვაშინგტონის კონფერენცია ცდა იყო ამერიკისა ევროპის სრული დამორჩილებისათვის, რომელმაც განიარაღებისა და ვალია „კარების“ პროექტი წარმოუდგინა ევროპის განაწამებ დიპლომატიას. ცხადია ამ პროექტის მიღება ევროპის სრულ დამორჩილებას გულისხმობდა ამერიკის კაპიტალის მიერ და ევროპის დიპლომატებმა ისევ უკან გადმოსცურეს ატლანტიის ოკეანე, რომ კანაში შეეხამებინათ პირობები გენუას კონფერენციისათვის.

გენუაშიაც ამერიკა არ მიიღებდა მონაწილეობას, რადგან გენუა არსებითად ევროპის ეკონომიურ აღდგენას ისახავდა მიზნად მაშინ, როდესაც ამერიკის მიზანს შეადგენს ევროპის ეკონომიურად დაცემა. ამიტომ ამერიკამ გენუაში მონაწილეობაზე ზრდილობიანი უარი განაცხადა.

ამერიკის პოლიტიკის ფიგურალური გამოხატვაა ის გარემოებაც, რომ გენუას კონფერენციისა და ლონდონის თათბირის მარცხით დასრულების შემდეგ ტრაგიულ მდგომარეობაში მყოფმა ევროპის დიპლომატებმა მიიღო ამერიკის ნოტა, რომელმაც მათ მოაგონა ვალების გადახდის საჭიროება.

ბალფურის ნოტა ინგლისის მოლაპარაკების დიდ მძიმე ამონაკვნესი იყო დავალიანებულ ევროპას.

დღეს, როდესაც ლოზანაში ახლო აღმოსავლეთის საკითხის გადაწყვეტისათვის იბრძვიან ლორდ კერზონი, მუსოლინი, ისმეტ ფაშა. ჩიჩერინი და სხვანი ამერიკის „მეთვალყურე“ კონფერენციის კულისებში საქმიოდ აქეთებს თავის საქმეს.

როდესაც რეაქციის გაერთიანების შესახებ ლაპარაკობენ არ უნდა დაივიწყონ, რომ ევროპის რეაქციას უპირისპირდება ერთი მხრით ამერიკა, ხოლო მეორე მხრით საბჭოთა რესპუბლიკები და ამავე დროს თვით ეს რეაქცია აღმოცენებულია კაპიტალიზმის დეკადენსის ნიადაგზე, როგორც პოლიტიკური კრიზისების ერთი სახეობა და არა როგორც ჯანსაღი მოვლენა აღმოცენებისა ევროპის ნორმალური სოციალურ-ეკონომიური პირობების მიერ.

„მეთვალყურის“ როლის შესახებ ახლო აღმოსავლეთის საკითხის ირგვლივ ჩვენ დაგვანახვებს ლოზანის კონფერენციის შემდეგი სხდომები. ამერიკის პოლიტიკის გათვალისწინებისა და მისი ანგარიშების გაწევის გარეშე დღეს არ შეიძლება რაიმე პოლიტიკის შენება. ამერიკანიზმი ულევსი მტერია ევროპის კაპიტალიზმის და ეს თავის ჩრდილს ყოველგვარ საერთაშორისო პოლიტიკურ კომბინაციებში.

ხ. ამაღლობელი

## ნარკვევი

**ლოზანის კონფერენცია და რუსეთი.**

რუსეთის დელეგაციის ლოზანის კონფერენციაზე გამგზავრებასთან დაკავშირებით, რუსეთის გარეშე საქმეთა სახ. კომისარს ამხ. გ. ჩიჩერინს, საუბარი ჰქონდა პრესის წარმომადგენლებთან. მოვიყვანთ ეს საუბარი შემოკლებით:

პირველად მოკავშირეებს აზრად ჰქონდათ ახლო-აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ კონფერენცია ურუსეთოდ მოეწვიათ. ჩვენ იმთავითვე მოვითხოვეთ, რათა ახლო აღმოსავლეთის პრობლემების გადაწყვეტის დროს სრული მონაწილეობა მიგვეღო. მოკავშირენი თან და თანობით თმობდნენ: პირველად მათ ნება დაგვრთეს რუსეთს სრუტეების საკითხების დისკუსიაში მონაწილეობისა; შემდეგ, ენერგიულ მოთხოვნილებათა გავლენით მათ განაცხადეს, რომ რუსეთი მონაწილეობას მიიღებს არა მარტო დისკუსიაში, არამედ საკითხების გადაწყვეტაშიც და უფლება ექნება მასთან დაკავშირებული კითხვების დასმისა. მოკავშირენი ალბად კიდევ მეტ დათმობაზე წავიდნენ. სრუტეების საკითხი გადაცემულია გადასაწყვეტად ტერიტორიალურ და სამხედრო საკითხების კომისიაზე.

რუსეთის დელეგაცია სავსებით იხელმძღვანელებს რუსეთის მშრომელთა ინტერესებით; ის არ დაუშვებს, რომ რომელიმე საკითხი რუსეთის გარეშე იქმნეს გადაწყვეტილი და ხელს არ მოაწერს არც ერთ დადგენილებას, რომელიც მიუღებელი იქნება ჩვენი კანონიერი უფლებებისა და სასიცოცხლო ინტერესებისათვის. რუსეთის დელეგაცია აგრეთვე არ დაიცდის კარებს უკან, სანამ მოკავშირენი ითათბირებდნენ კონფერენციის ბინაში.

რუსეთის დელეგაციას არ გამოუჩენია ამიტომ სიჩქარე ლოზანაში ჩასასვლელად და არ ეცდება იქ სხვა სახელმწიფოთა ადრევე ჩასვლას. მიწვევის დროს გვამცნობდნენ, რომ დისკუსიის დაწყების დატა ადრევე იქნებოდა ცნობილი; მაგრამ დღემდე ამისა ჩვენთვის ამის შესახებ არა უცნობებიათ. გაზეთებიდან გავიგეთ, რომ კონფერენციამ დაიწყო მუშაობა და ამორჩეულ იქნა კომისიები. ამიტომ რუსეთის დელეგაცია ახლო დღეებში აპირებს გამგზავრებას. ის ახლაც არ იჩქარის. მას, რაც ურუსეთოდ გადაწყდება, ფაქტიურად ძალიან მცირე მნიშვნელობა ექნება. როგორიც არ უნდა იყოს, შეთანხმება მოკავშირეთა ახლო-აღმოსავლეთში სერიოზული და ხანგრძლივი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მასში რუსეთი მიიღებს მონაწილეობას. თუ ჩვენი დელეგაციის ჩასვლამდე მიღებულ იქნა რაიმე გადაწყვეტილება და ის მოხდარ ფაქტის წინაშე დაგვაყენებს, მაშინ მხოლოდ არცნობა ჩვენ მიერ ამ მოხდარი ფაქტისა საკმაო იქნება იმისათვის, რომ ის არამომხდარად ვაქციოთ.

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა მშვიდობიანობით ხელმძღვანელობს და ამიტომ სრუტეების საკითხი აუცილებლად ისე გადაწყდეს, რომ უცხოეთის სამხედრო გემებს არ მიეცეთ შეძლება სრუტეში გასვლა. ყველა სახაპირო სახელმწიფოთა ინტერესი მოითხოვს სრუტეების დახურვის პრინციპის გატარებას სამხედრო გემებისათვის. ოსმალეთის ხალხი არის მეპატრონე მარმარილოს ზღვის, ბოსფორის და დარდანელის არივე ნაპირისა და მისი ელემენტარული უფლებები თხოულობს, რომ ის ნამდვილი მეპატრონე იყოს თავის სახლში, რომ სრუტეები ცნობილ იქნენ იმათ, რათაც არიან, ე. ი. ოსმალეთის წყლებით და რომ მას უფლება მიეცეთ მიიღოს ყოველივე ზომები სრუტეების დასაცველად. ეს სასიცოცხლო ინტერესები ოსმალეთის ხალხისა სავსებით ეთანხმებიან მშვიდობიანობის და სიწყნარის ინტერესებს შავს ზღვაზე. რუსეთის მშრომელი მასსები სავსებით უთანაგრძნობენ ექსპლოატაცია ქმნილ და დაჩაგრულ ხალხებს, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარებისათვის. ამ პრინციპების საფუძველზე აგებული ურთიერთობა რუსეთსა და ოსმალეთს შორის.

ცარიზმი ახლო-აღმოსავლეთში მოქმედებდა უხეში ძალით და მოყიდვის გზით, ზოოლოგიური ნაციონალისტური ინტრიგების აღგზნებით და შეურაცხყოფილ და საზიზღარ საეკლესიო რელიგიოზურ განწყობილებების და მისწრაფებების დახმარებით. საბჭოთა რუსეთი მოქმედებს სრული ჰარმონიით სრუტეების მეპატრონის ოსმალეთის ხალხის სასიცოცხლო ინტერესებთან, ხელს უწყობს მის თავისუფალ განვითარებას, დამოუკიდებლობის და ეროვნულ თვით გამორკვევას.

ახლო-აღმოსავლეთის საკითხებში ცენტრალური და უმნიშვნელოვანესი ადგილი სრუტეების საკითხს უჭირავს. აქეთ იყო მიმართული დასავლეთის სახელმწიფოთა, გერმანიის და ცარიზმის რუსეთის ყურადღებაც.

ლოზანის კონფერენციის მომენტში ახლო-აღმოსავლეთი იმ სურათს უკვე აღარ წარმოადგენს, რომელიც წინეთ იყო. ოსმალეთის ხალხს აღარ სურს დარჩეს დიდ სახელმწიფოთა მიოფილი პოლიტიკისა და მათი კაპიტალისტური ექსპლოატაციის ობიექტად. გერმანია უკვე აღარ არის მათ შორის, რომლებიც მეტოქეობენ ნადავლის განაწილებაში აღმოსავლეთში. საბჭოთა რუსეთმა იმას დამოუკიდებლად საწინააღმდეგო მიზანი დაისახა, რომელიც დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებმა დაისახეს და რომელიც ცარიზმს ჰქონდა დასახული. ახლა, როდესაც ოსმალეთის ხალხს სურს თვით გახდეს თავის პატრონი, მთელი დავა იმაშია, დარჩება თუ არა ოსმალეთი დამონებულ ქვეყნად, თუ გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი. გარემოებათა მიხედვით, მყარდება ფაქტიური მეგობრობა ოსმალეთის ხალხისა და რუსეთის მშრომელთა რესპუბლიკის მოქმედებებს შორის.

უკანასკნელის პოლიტიკა განისაზღვრება ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპით და მშვიდობიანობის დამყარების სურვილით. სწორედ ამიტომ,—დაასრულა საუბარი ამხ. ჩიჩერინმა,—არავითარ გადაწყვეტას ახლო აღმოსავლეთის საკითხისას ფაქტიური ძალა არ ექნება, მასში რუსეთის რესპუბლიკის მონაწილეობის მიუღებლად.

## არჩილ ჯორჯაძე

(მცირე მოგონება დიდ-კაცზე)

ბედნიერებაა ჩემის მხრით, რომ ასეთ მცირე მოგონებაში ვიხსენიებ ქართულ ეროვნულ საკითხის კაპიტალურ წარმომადგენელს და ძლევამოსილ მუშაკს მარად ბრწყინვალე არ. ჯორჯაძეს.

სპეტაკ არჩილის ხსენებაზე ვფიქრობ ყველა ქართველს, რომელსაც სწამს თვისი ეროვნული მეობა,— არ გამხდარა „იანიჩარი“ და პირად ანგარებისათვის არ ჰფიქრობს სამშობლოს გაჰყიდვას, გული აუტოკდება, სული შეუშფოთდება საკუთარი ყოფა განცხრომა დაავიწყდება და სამშობლოსთვის თავდადება მოენატრება.

წარმოიდგინეთ ტაძარი. რომელსაც ჟამთა უკუღმართობის გამო მრევლნი-მლოცველნი განრიდებოდენ, მაგრამ ერთი უცნაური სანთელი ამ მიტოვებულ სამლოცველოში არ ჰქრებოდა, მარად ენთო!..

არჩილი აი, ასეთ სანთლად აინთო ქართულ ეროვნულ ტაძარში რუსის იმპერატორის უღელ ქვეშ გმინვის და საქართველოს აპოლიტიკურობის ჟამს.

არჩილს მრევლი მლოცველნი არა ჰყავდა, მაგრამ ზე კაცის ცეცხლებრ მოწოდებამ მრევლი მყისვე შეჰკრიბა... სულ მალე არჩილმა ძლიერი ეროვნული ლაშქარი შეჰყარა თვით დაიპყრა ეროვნული დროშა და თავგანწირული ექვეთა იმათ ვინც საქართველოს უარჰყოფდა, სიკვდილ სასიცოცხლო ომი გაუმართა რუსის მონარქიას, რომელიც საქართველოს წაშლას და სიკვდილს ჰლამობდა.

ეროვნული ლაშქარი გაიზარდა არჩილმა ეროვნული მრწამსი ყველა ურწმუნოს მიაღებინა, სარდალი, ბუმბერაზ-მებრძოლი ფიზიკურად მოიქანცა შეუწყვეტელ ბრძოლაში მაგრამ არ გაჰქრა, იმ „სანთელმა“ მარადიული წვა დაიწყო უტკბეს სამშობლოს სამსხვერპლოზე!.. არჩილი ხორციელად დავკარგეთ, მაგრამ არჩილი მკვდრეთით აღსდგა, ვინაიდან ჩვენში გაიმარჯვა ეროვნულმა მრწამსმა სამშობლო ყველამ იწამა, ყველამ იგრძნო გარეშეთა უღელი და მჩაგვრელობა.

და სანთელი არჩილისა, რომელიც იწვის უცნაურად, მაგრამ კი არ იწვება მანამდის არ დაიწვება, მანამდის გვინათებს ჩვენ გზას უმთვაროდ, სანამ საქართველო არ გაჰქრება ამის თავდები თვით არჩილის მარად თვითნთებელი სანთელია. ეს სანთელი იდუმალ ნაპერწკლებს ისვრის და ლაპლაპებს, მაშინ, როცა სამშობლო მონობაშია.., აი. ასეთი სანთელი კაცი, მქონდა მე ბედნიერება, პატივცემულო მკითხველო, პირადათ მენახა, არა თუ მენახა, არამედ კიდეც მევლო მასთან.

სათათბიროს არჩევნები ახალი დამთავრებული იყო, არჩილი თბილისში „პალე როიალის“ სასტუმროში სცხოვრობდა ქართველი ერისთვის რუსის მეფის რეჟიმის მიერ თავგატეხილ დიმ. ყიფიანის ბიოგრაფიას სწერდა.

ახალგაზრდობა აღტაცებული იყო ამ ბიოგრაფიის კითხვით, ვინ არ ნატრობდა მაშინ არჩილის დანახვას, და მის ზესთა ბუნებრივ საუბარის მოსმენას.

პატივცემულ არ. ჯ—შვილთან ხშირად მოსულან ახალგაზრდები, (განსაკუთრებით ქართველი გიმნაზიელები), რომლებიც ჰკითხულობდენ რა ავადმყოფ არჩილის ამბავს ჰნატრობდენ მის ერთ დანახვას.

არჩილი ამ დროს უკვე ავადმყო-

ფობდა, საზიზღარი ჰლექი კბილებ დადრეჯილი დამდგარიყო მის წინ. მაგრამ არჩილი ოდნავადაც არ ჰკრთებოდა ამ რეალ აჩრდილის წინაშე და ამაყად, შეუპოვრად იდგა იშვიათად სტრატეგიით განსჰვრეტილ ეროვნულ პოზიციებზე. პოზიციებზე ვამბობ, ვინაიდან ამ დროს არჩილი ოპოზიციიდან უკვე პოზიციებზე გადავიდა.

მე პატარა ბიჭი თითქმის ყოველ დღე დავდიოდი არჩილთან. პირველ მოსვლისას მივადექ ნომერს „პალე როიალში“ და დამტვრეულ რუსულით ვიკითხე არჩილი აქ სცხოვრობსთქო.

არ მოეწონა არჩილს „ეს რუსული“ და მითხრა: „ქართული უფრო კარგათ გეცოდინება და რატომ ქართულად არ იკითხეო“ გავნცვიფრდი, მე მეგონა რუსული ღმერთის ენა იყო, თუ მის გარდა სხვა ენით გამოჩენილ ადგილს ლაპარაკი შეიძლებოდა ეს ვერ წარმომედგინა. ტფილისი გარუსების ქარ ცეცხლში იყო გახვეული. ჩვენი საზოგადოება რუსულად მოუბრობდა. არჩილი რომ დიდებული კაცი იყო ეს გამეგონა და ვფიქრობდი, დიდებულ კაცთან როგორ შეიძლება ქართულად დალაპარაკება, რომელიც სოფლის და სამზარეულოს ენა არისთქო.

მე პატარა ბიჭი, რომელსაც არავითარი შთაბეჭდილება არ შემეძლო მომეხდინა ვისმეზე, იშვიათ ინტერესით მიმიღო არჩილმა. მომათხრობია ჩემი საკუთარი ბიოგრაფია, ორი სამი სიტყვა მითხრა საქართველოზე და ა. ფრონელის წიგნი მაჩუქა.

უცნაური მოვლენა იყო ეს 14—15 წ. ბიჭის ცხოვრებაში. შემიყვარდა საქართველო და ქართული.

ამის შემდგომ მე ყოველ დღე ვეახლებოდი არჩილს, თუ დრო მექნებოდა, იგი დამისვამდა თავის ლოგინთან (იმ ხანებში იგი მუდმივი მწოლარე იყო) და მესაუბრებოდა ისე, როგორც ვინმე ჭკუა-ნაყარ კაცს. მე მანცვიფრებდა ასეთი თავაზიანობა და მზად ვიყავი არჩილისათვის მუხლებზე მეკოცნა. ერთხელ მომიყვა 832 წ. ამბოხების ამბავი და გამაცნო დიმიტრი ყიფიანი.

სამწუხაროდ ეს ძვირფასი ამბები რომელიც მე ზეპირმა მომითხრო ახალგაზრდობისა გამო დღემდის არ დამიფასებია. მხოლოდ დღეს ვფიქრობ მათ აღდგენას.

არჩილი თითქმის მუდამ მარტო იყო და მწოლიარე სწერდა. მისი ხშირი მნახველი იყო არ. ჯ—შვილი. სასტუმროს მოსამსახურეებს, რომელთაც არჩილის ფასი არ ესმოდათ არჩილი დიდათ უყვარდათ, როგორც იშვიათ თავაზიანობის და ჯენტლმენი ევროპიელი კაცი. თავის დღეში ის არ დაუძახებდა ლაქიას იმ კილოთი და იმ ენით, როგორც ეს იმ დროს მიღებული იყო.

დეკემბრის თვე იდგა, დილიდან თოვდა შეუწყნარებლივ. მე უპალტოოთ ვიყავ. სიცივისგან ქართულად მობუზული შევედი არჩილთან. მის ნომრიდან ისიც იყო შ. მიქელაძე გამოდიოდა, რომელიც აგრეთვე ყოველ დღე ნახულობდა არჩილს. შესვლისთანავე მომაპყრო ყურადღება, ავადმყოფი კაცი წარმოდგა, გადმოიღო გარდერობი, ამოიღო თბილი შარფი გამახვია და მითხრა:

„ჯერ-ჯეროობით გაიჭირე. მერე პალტოსაც გიშოვიო:“ კიდევ უფრო გავოცდი, ასეთი კაცი აბა სად უნდა მენახა მე 14—15 წ. ბიჭს და ან სად იქნებოდა საქართველოში ამისთანა მეორე არჩილი!..

ერთხელ არჩილთან წიგნებით შევედი, მაშინვე ახალგაზრდობის სწავლაზე დამიწყო ლაპარაკი: „ახალგაზრდობამ ბევრი უნდა ისწავლოს. შენ იბეჯითე და აქაურ სასწავლებელს როცა დაასრულებ ვეცდებით ევროპაში გაგზავნოთო მითხრა მე სხვათა შორის. ამ დღესვე მომცა 3 მანეთი სხვა და სხვა წიგნების შესაძენად. უსაზღვროდ შემიყვარდა არჩილი. მასზე ველაპარაკებოდი ყველა ნაცნობს და იმაზე დიდ კაცად სამყაროში არავინ წარმომედგინა.

ბოლოს როცა გავთამამდი, არჩილს ვჰკითხე: „ბატონო საქართველო როდის უნდა განთავისუფლდეს?“

„ჩემო პატარა ქართველო, როცა ყველა ქართველი გაქართველდება, როცა მშრომელი ხალხი ამოქმედდება საქართველოს შეიცნობს ჩვენ მაშინ თავისუფალი ვიქნებით“—რას ჰნიშნავს ბატონო სიტყვა „გაქართველდება“, განა ახლაც ყველა ქართველები არ არიან?

— „გაქართველება“ იმას ჰნიშნავს ჩემო პატარა ქართველო, რომ საქართველოს ემსახურონ, მისი წარსული შეიგნონ და თავისთავი დააფასონ, ჯერ კი ეს არ მომხდარა; სამშობლო ენას პატივს ვერ სცემენ, როცა ეს მოხდება მაშინ ჩვენც თავისუფალი ვიქნებით“.

შემდეგ წყნარ, მაგრამ უცნაურ ენით, ენა რომელიც არ იყო ისეთი, რომელზეც იტყვიან „ენა წყლიანიო“, მაგრამ რაღაც იდუმალ ძალით იტაცებდა თქვენ სმენას და ელექტრონად დაგირბენდათ მთელ არსებაში—დაიწყო ლაპარაკი დიმიტრი ყიფიანზე და 832 წ. ამბოხებაზე.

ვეცდები შემდგომ წერილ-მოგონებაში დიდი კაცის ეს ნაამბობი აღვადგინო და წარმოგიდგინოთ.

ირ—დი.

## ლოზანას კონფერენცია

**ისმეტ-ფაშას უკმაყოფილება**

რომი 10 დეკ. ისმეტ-ფაშამ პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის არ არის კმაყოფილი კონფერენციის მსვლელობით და რომ მან გადასწყვიტა უფრო დაჟინებით მოითხოვოს „ნაციონალური აღთქმის“ პრინციპის განხორციელება.

**ლონდონის თათბირი**

**სულიერი განწყობილება ლონდონში**

ჰანოვერი 10 დეკ. ლონდონში კონფერენციის გამო სულიერი განწყობილება ოპტიმისტურია. ლონდონის სიტის წრეები გერმანიის ახალ მთავრობას სთვლიან საქმიან პირებისაგან შემდგარ მთავრობათ, რომელთან შესაძლებელია შეთანხმების მიღწევა, როგორც საკონტრიბუციო, ისე საკავშირთაშორისო ვალების საკითხთა.

**იაპონიის მოთხოვნა**

ჰანოვერი 10 დეკ. იაპონიამ მოითხოვა მისი დაშვება ლონდონის თათბირზე.

**ამერიკის მონაწილეობის საკითხი**

ჰანოვერი 10 დეკ. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ელჩი იმყოფება ამ ჟამად ინგლისში, ამერიკას ჯერ არ გამოუთქვამს ლონდონის თათბირზე მონაწილეობის მიღების სურვილი.

**პუანკარე და მუსოლინის ჩასვლა**

ჰანოვერი 10 დეკ. 8 დეკემბერს საღამოს ლასტერის თანხლებით ჩავიდა ლონდონს პუანკარე. მოელიან მუსოლინს, რომელმაც პარიზში გავლის დროს პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ ის თათბირზე წარადგენს ახალ პროექტს საკონტრიბუციო და საკავშირთაშორისო ვალების ჩქარ გადასაწყვეტად.

**წინასწარი მოლაპარაკება**

ჰანოვერი 10 დეკ. 8 დეკემბერს ინგლისის და ბელგიის პრემიერთა შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა ლონდონის თათბირზე განსახილველ საკითხების შესახებ. ბონარ-ლოუს თათბირი ჰქონდა აგრეთვე პუანკარესთან.

**თათბირის გახსნა**

ბორდო 10 დეკ. 9 დეკემბერს, 11 ნახ. საათზე გაიხსნა პრემიერების თათბირი. თათბირზე მონაწილეობას იღებდნენ მხოლოდ ბონარ-ლოუ, მუსოლინი და ფენიქსი.

**ერთიანი ფრონტი კონფერენციაზე**

მოსკოვი 11 დეკ. გაზეთი „ენიგიუმი“ ეხება რა მოკავშირეთა ერთიან ფრონტის შექმნის სურვილს (გამოტოვებულია)... სწერს: „ფაქტიურად აქამდი ერთიანი ფრონტი არსებობდა მხოლოდ ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ეს ფრონტი შეურყეველი დარჩება, ვინაიდან მისი სიმტკიცისაგან დამოკიდებულია კაცობრიობის ბედი.

**ქრისტიანთა უფლებები ოსმალეთში**

მოსკოვი 11 დეკ. სტამბოლიდან მოსულ ცნობის თანახმად ინგლისის მთავრობამ აღუთქვა ქრისტიანთა წარმომადგენლებს, რომ ყველა ქრისტიანებს ისეთივე უფლებები ექნებათ, როგორიც აქვთ ოსმალებს. ქრისტიანების წარმომადგენლებმა მთავრობის ასეთი განცხადების გამო გამოსთქვეს სრული კმაყოფილება.

**ლოზანას კონფერენციის მუშაობა**

მოსკოვი 11 დეკ. ლოზანას კონფერენციის მუშაობა შეწყვეტილი იქნება 23 დეკემბრიდან 3 იანვრამდე, ვინაიდან კერზონი და ზოგიერთი დელეგატები შობისთვის მიემგზავრებიან სახლში. ექსპერტები განაგრძობენ მუშაობას.

**ისმეტ-ფაშის შვიდი მუხლი.**

ლოზანა, 10 დეკ. სრუტეების კომისიის საღამოს სხდომაზე ჩიჩერინმა გააფრთხილა რუმინია, რათა ის არ გახდეს მეორე საბერძნეთი და არ ითამაშოს დასავლეთის სახელმწიფოების იარაღის როლი. მან მოითხოვა რეჟიმი, რომელიც აღიარებს ოსმალეთის დამოუკიდებლობას.

იაპონიის წარმომადგენელი ბარონი გაიაჟი შეუერთდა ამერიკის თვალსაზრისს კარების ღიაობის პოლიტიკის შესახებ.

ლორდ კერზონმა, ჩიჩერინის წინადადების საპასუხოდ, წინადადება მისცა ოსმალოებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მათი წინადადების რამდენიმე მუხლებზე. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოს, გარდა ოსმალეთისა, კონფერენციაზე უფლება არ აქვს წართმეული თავის საკუთარი საჭიროება ქალაქის დაცვისათვის. სრუტეების ოკუპაცია აძლევს უდიდეს უპირატესობას ხმელთა შუა და შავ ზღვაში მებრძოლ სახელმწიფოებს, რომლებიც პირველნი ჩაიგდებენ ხელში სრუტეებს და ამ რიგად, დემილიტარიზაცია იქნება უბრალო

## მთავარ კომიტეტის გაფართოებული სხდომა.

**ამხ. სიმონ ხუნდაძის სიტყვა.**

(გაგრძელება)

ამხანაგებო! ის მოხსენება, რომელიც ამხ. თიდო ლონტმა წაიკითხა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ საკითხის მხოლოდ ერთს მხარეს ეხება, სახელდობრ ეკონომიურს. ამ მხრივ საერთაშორისო მდგომარეობის განხილვა მეტად საინტერესოა, მაგრამ იგი საკითხს სავსებით ვერ ამოსწურავს. თქვენ დაგრჩებათ მთელი რიგი საერთაშორისო კითხვებისა განუხილველი, რომელნიც მოითხოვენ გადაჭრილ პასუხს. ასეთია მაგ. საერთაშორისო ფაშიზმის პროლეტარიატის გაერთიანებულ ფრონტისადმი რევოლიუციის ტემპის საკითხები. ამ კითხვებს თქვენ ვერ ახსნით მარტო ეკონომიკის საზომით. საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების საკითხი შეუძლებელია ახსნილი იქმნეს მარტო ეკონომიური საზრისით—ამ მოვლენაში მთელი რიგს ფაქტორებისას აქვს თავისი შესაფერისი გავლენა, რომელნიც გარკვეულს მიმართულებას აძლევენ რევოლიუციის მიმდინარეობას. ამიტომ მე შევეცდები საკითხის პოლიტიკური მხარეს მივაქციო ეხლა თქვენი ყურადღება.

საერთაშორისო რევოლიუციის საკითხი ორი მხრით არის ჩვენთვის საინტერესო. პირველი მომენტი იმაში გამოიხატება, თუ რამდენად ანადგებს ის ჩვენ ეროვნულ ინტერესებს. ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით და დღესაც ვამტკიცებთ რომ პატარა და ჩამორჩენილ ერთა ბედი ღრმად არის გადაჯაჭვული საერთაშორისო რევოლიუციის ინტერესებთან. ჩვენ ვამბობდით, რომ ერთა განთავისუფლების ერთად ერთი თავდები არის სოციალისტური წყობილება. თანამედროვე კაპიტალისტური მეურნეობა თავისი ფინანსიურ კაპიტალსა და იმპერიალიზმის სახით იმ წერტილამდე მივიდა, რომ მან დაკარგა ყოველგვარი შემოქმედებითი ენერგია და გამანადგურებელ ფაქტორად გადაიქცა. თანამედროვე კაპიტალიზმს ორი გზით აქვს შემოსავლის წყარო: ერთი მუშათა კლასის ყვლეფით—წარმოების პროცესიდან და მეორე ჩამორჩენილ და დამონებულ ერების ექსპლოატაციით — კოლონიებიდან. თანამედროვე კაპიტალიზმს უკოლონიოდ არსებობა არ შეუძლია. ეს არის მისი არსებობის წყარო. ამიტომ იმპერიალისტური ქვეყნები გაორკეცებული ენერგიით დაეძებენ სამეურნეო ტერიტორიებს ხელში ჩასაგდებად.

მდიდარი ტერიტორიების თავისი გავლენის ქვეშ დაყენებას იმპერიალისტური ქვეყნები ახერხებენ ორი გზით: ერთი პირდაპირი დაპყრობით—სრული კოლონიად გადაქცევის საშუალებით; მეორე შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობა რჩებათ ქვეყნებს, ეკონომიურად კი სრული საწველი ფური ხდება იმპერიალისტური ქვეყნის. ასეთს მდგომარეობაში იმყოფებიან ნახევრად—კოლონიალური ქვეყნები (სპარსეთი, ავღანისტანი, ჩინეთი, ოსმალეთი). ფორმალურად მათ დამოუკიდებლობა და პოლიტიკური არსებობა აქვთ, ეკონომიურად — იმპერიალისტური სახელმწიფოების მონობაში იმყოფებიან. კაპიტალიზმი, რომელიც მოგებისა და წარმოების ექსპლოატაციის მიზნებით შეიჭრა ამ „დამოუკიდებელ“ ქვეყნებში, არ აძლევს მათ საშუალებას ეკონომიური აღორძინებისათვის. ქვეყნის სიმდიდრე და დოვლათი, წარმოების მოგება ამ ჩამორჩენილ ქვეყნებში კი არ რჩება რომ ხელი შეუწყოს მათს ეკონომიურ აღორძინებას, არამედ სხვადასხვა სახით ევროპის კონტინენტისაკენ მიეშურება. კაპიტალიზმი ყვლეფს ჩამორჩენილ ქვეყნებს, დამოუკიდებლად იმისა აქვთ მათ პოლიტიკური თვით არსებობა თუ კოლონიებს წარმოადგენენ და არ აძლევს მათ ეკონომიური აღორძინების საშუალებებს. ომამდი ექვს დიდ იმპერიალისტურ სახელმწიფოს 8 მილიარდ ოქროთი დირებული დოვლათი გამოქონდათ ჩამორჩენილ ქვეყნებიდან. ეს არის აშკარა და გარკვეული ყაჩაღობა რომელიც დაკანონებული არის იმპერიალისტებისაგან. ინგლისური გამოთქმა: „მე არ ვცხოვრობ ინდოეთში, მაგრამ მე ვცხოვრობ ინდოეთითო“, ნათლად ამოწმებს კაპიტალისტური ქვეყნების დამოკიდებულებას ჩამორჩენილ ქვეყნებისადმი.

კაპიტალიზმს უკოლონიოდ არსებობა არ შეუძლია. კოლონიები მისთვის საჭირო, როგორც ნედლი მასალის მიმწოდებელი როგორც გასაღებელი კაპიტალისტური პროდუქტებისა და როგორც ობიექტი უმოქმედოთ დარჩენილი კაპიტალის ასამოძრავებლად. ყველა ეს ფორმები ურთიერთობისა საშუალებას აძლევს კაპიტალს დაუსრულებლივ ყვლიფოს ჩამორჩენილი ქვეყნები. თავის მხრით ჩამორჩენილ ქვეყნებსაც არ შეუძლიათ ამ კაპიტალის დაუხმარებლად არსებობა. ამ ქვეყნებისათვისაც აუცილებელი საჭიროება ხდება დაწინაურებული სახელმწიფოების მაღალი ტეხნიკისა და კაპიტალის გამოყენება, მაგრამ კაპიტალიზმს ყოველთვის ახასიათებს მოგებისა და ექსპლოატაციის ტენდენციები. ასე რომ ჩამორჩენილი ქვეყნების პოლიტიკური აპარატი ხდება იარაღად და საშუალებათ ევროპის კაპიტალისათვის, რათა მას უფრო ენერგიულად მოახდინოს ექსპლოატაცია მათი სამეურნეო ცხოვრების. ამ მოსაზრებიდან ჩვენ ვხედავთ რომ თანამედროვე კაპიტალისტურს ეპოქაში შეუძლებელი ხდება ჩამორჩენილ ქვეყნის სრული აყვავება და ეკონომიური აღორძინება. ამას ვერ შესძლებს ვერც პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და საკუთარი სახელმწიფოს მოპოებაც, ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც თანამედროვე კაპიტალისტურ სისტემას შეცვლის მთელს მსოფლიოში ახალი სამეურნეო ფორმაცია, რომლის მთავარი მიზანი იქნება არა ზედმეტი მოგება და ექსპლოატაცია, არამედ ურთიერთ დახმარება და ტეხნიკის გაუმჯობესება. მანამ სანამ არსებობს კაპიტალისტურ ეკონომიკის საფუძვლებზედ აგებული სამეურნეო სისტემა თავისი კაპიტალისტური მოგების ტენდენციებით, ჩამორჩენილ ერებისა და საზოგადოთ ერთა სრულ თავისუფლებაზე ლაპარაკი ზედმეტია. ასეთ პირობებში კაპიტალი სხვადასხვა სახით ყოველთვის ახერხებს ერების გაყვლეფას. როდესაც ასეთი სისტემა დაემხობა და შეიქნება სოციალისტური მეურნეობა, სადაც თავისთავად მოკვდება კაპიტალისტური ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

საერთაშორისო რევოლიუცია არის ერთად ერთი გზა თანამედროვე კაპიტალიზმის აღმოსაფხვრელად, რომელიც ასე უწყალოდ ყვლეფს ჩვენს ერებს. გამარჯვება ამ რევოლიუციისა ნიშნავს ეროვნულ იდეალების რეალურად განხორციელებას, დამარცხება კი უფრო რამოდენიმე ათეული წლების უხამსი კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის ბატონობას, ერების უფრო ჩაგვრასა და ყვლეფას. სოციალისტურმა რევოლიუციამ უნდა მოსპოს კაპიტალიზმი და ნიადაგი ჩაუყაროს ახალ სოციალურ ურთიერთობას. ეს არის ხანგრძლივი და მეტად მძიმე აქტების შედეგი. მაგრამ სხვა გზა ერების ხსნისა არ არსებობს. ამიტომ ვართ ჩვენ მხურვალე მომხრე მთელის ჩვენი არსებით საერთაშორისო რევოლიუციისა და იმ ორგანიზაციების, რომელნიც რეალურად გამოდიან რევოლიუციის ჩამტარებელ ძალად. იმიტომ გადავაჯაჭვეთ მთელი ჩვენი ბედი საერთაშორისო რევოლიუციას, რომ ის რეალურად ანადგებს ერების იდეალებს და იძლევა უტყუარ შესაძლებლობას თავისუფალი ეროვნული შემოქმედებისათვის. ეს არის ჩვენი პრინციპიალური დამოკიდებულება საერთაშორისო რევოლიუციასთან.

მესამე საკითხი, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ეს არის ის, თუ როგორს ფაზისში იმყოფება რევოლიუციონური მოძრაობა, როგორია ტემპი მისი მიმდინარეობისა. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანია და მთელ რიგ საერთაშორისო კითხვებთან არის დამოკიდებული. საკითხს ორი მხრით უნდა მივუდგეთ. ჩვენ ვართ აქტიური სოციალიზმის მიმდევრები და მისი კრიტერიუმი უნდა მოვიყვნოთ. მაგრამ ეს საზომი სრულებით არ ურიყოფს ობიექტიურ ძალების შესწავლის საჭიროებას; ჩვენთვის საკითხი ისმება ამ გვარად: რამდენად შესაძლებელია თანამედროვე ობიექტიურ გარემოებაში ნამდვილი აქტიური პოლიტიკის გატარება სოციალიზმის სასარგებლოდ; არის თუ არა ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ის სუბიექტიური ძალა, რომელმაც უნდა გამოიყენოს თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური გარემოება რევოლიუციის გასამარჯვებლად. ამიტომ ჩვენ უნდა შევისწავლოთ თანამედროვე პირობების, როგორც ობიექტიური სოციალ-პოლიტიკური გარემოება, ისე მებრძოლი ძალების სოციალისტური ორგანიზაციების მდგომარეობა. პირველი საკითხის მხოლოდ ეკონომიური მხარე გადაგვიშალა მომხსენებელმა. როგორც ვხედავთ, საჭირო არის სხვა მხარეებსაც მივაქციოთ არსებითი ყურადღება.

როდესაც რუსეთში კომპარტიამ პოლიტიკური ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში და შემდეგ (1919 წ.) ჩამოყალიბდა კომინტერნი, მათ ერთი გარკვეული ხაზი ჰქონდათ საერთაშორისო რევოლიუციის შესახებ: მათ სწამდათ დღეს თუ ხვალ ევროპის პროლეტარიატი პოლიტიკურ ძალა უფლებას ხელში ჩაიგდებდა და კისერს მოუგრეხდა კაპიტალიზმის არსებობას. კომინტერნი მაშინ რევოლიუციის ტემპის სიძლიერისა და სწრაფის პოლიტიკას აყენებდა. დღეს მდგომარეობა არსებითად შეიცვალა; კაპიტალიზმს კვლავ უჭირავს ხელში პოლიტიკური ძალა-უფლება. პროლეტარიატი უფრო ძლიერია დღეს, ვინემ გუშინ იყო, სოციალური დაპირისპირება უშუალო

